განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**

„სატყეო საქმე“

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
09.01.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

201-

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **211349192** |
| დაწესებულების სახე | **უნივერსიტეტი** |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | **სატყეო საქმე** |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი სატყეო საქმეში |
| სწავლების ენა | **ქართული** |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | **აკრედიტირებული** |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ჯაფოშვილი, აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნატო კობახიძე, აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლაშა ლალიაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას ,,სატყეო საქმე“ შემუშავებულია სატყეო დარგში აღიარებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებების საფუძველზე დაყრდნობით, ასევე ადგილობრივი, უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების ანალოგების შესწავლით, ანალიზითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონსტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო პროგრამის გეგმაში. პროგრამა გრძელდება 3 წელი (6 სემესტრი) და მოიცავს 180 კრედიტს (ECTS). სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი და კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. სტუ-ს რექტორის მიერ სემესტრის დაწყებამდე გამოიცემა და ვებგვერზე ქვეყნდება აკადემიური კალენდარი. სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი (ექვსი სემესტრი). პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. სასწავლო კომპონენტი მოიცავს დოქტორანტისათვის განკუთვნილ 6 სასწავლო კურსსა და 2 თემატურ სემინარს, ხოლო კვლევითი კომპონენტი მოიცავს – 2 კოლოკვიუმსა და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვას. სასწავლო კომპონენტისათვის განსაზღვრული 60 კრედიტი – 35 კრედიტი სასწავლო კურსები, 25 კრედიტი – 2 თემატური სემინარი, ხოლო კვლევითი კომპონენტისთვის - 120 კრედიტი, კოლოკვიუმი 1 და კოლოკვიუმი 2 – 60 კრედიტი, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 60 კრედიტი. ყველა სასწავლო კურსის შუალედური შეფასებების მაქსიმალური ქულაა 60:

- მიმდინარე აქტივობა, შეფასების მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 15 ქულა;
- შუასემესტრული გამოცდა, შეფასების მაქსიმალური შეფასებაა - 30 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 15ქულა.

დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულაა 40, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20ქულა. სემესტრის მანძილზე სტუდენტი აბარებს ერთ შუალედურ და ერთ დასკვნით გამოცდას. საჭიროების შემთხვევაში 2 კვირა ეთმობა დამატებით გამოცდას. დამატებით გამოცდაზე სტუდენტი გადის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ფინალურ გამოცდაზე გასვლის შემდეგ ჯამში დააგროვა 41-დან 50 ქულის ჩათვლით.

**აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 9 იანვარს (ცენტრის დირექტორის ბრძანება 31.12.2018, №1154). სატყეო საქმის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;

- ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამასთან ბმაში მყოფ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- პროგრამაში მონაწილე აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციელისტებთან, რომლებიც ჩართული იყვნენ პროგრამის შექმნაში და მომავალში უზრუნველყოფენ მის განხორციელებას;
- აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებთან;
- დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან.
- პოტენციურ დამსაქმებლებთან.

ექსპერთა ჯგუფის მიერ მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ლაბორატორიების აღჭურვილობის დათვალიერება. ვიზიტის ბოლოს, ექსპერთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამის განვითარებისთვის შესთავაზა რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და საკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ სატყეო საქმე“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. პროგრამა აკმაყოფილებს:

ძირითადად აკმაყოფილებს პირველი სტანდარტის მოთხოვნებს, გვაქვს რამოდენიმე რეკომენდაცია და რჩევა.
ძირითადად აკმაყოფილებს მე-2 სტანდარტის მოთხოვნებს, გვაქვს რამოდენიმე რეკომენდაცია და რჩევა
მე-3 სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა გვაქვს რჩევა.
მე-4 სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა გვაქვს რჩევა.
და მე-5 სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა გვაქვს რჩევა.

პროგრამა ძირითადად შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან.

**რეკომენდაციები:**

1. პროგრამაში მკაფიოდ გაიწეროს მიღების წინაპირობები, განმარტებული იქნას ჩანაწერი „ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი“. ბაკალავრის დიპლომი ვერ იქნება დოქტორანტურაში მიღების წინაპირობა;
2. პროგრამაში მკაფიოდ გაიწეროს რომელი დონის უცხო ენის ცოდნა მოეთხოვებათ და რა ტიპის გამოცდას აბარებენ უცხო ენაში; დაკონკრეტებული უნდა იყოს უცხო ენის რომელი საერთაშორისო სერტიფიკატის (მაგ TOEFL, IELTS, FCE, CAE...) არსებობის შემთხვევაში თავისუფლდება კანდიდატი გამოცდის ჩაბარებისგან.
3. პროგრამაში ან სადოქტორო დებულებაში მკაფიოდ გაიწეროს საფაკულტეტო დროებით კომისიასთან აპლიკანტის გასაუბრების ფორმატი და სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის რა მიიღება მხედველობაში (მაგ. კანდიდატის კვალიფიკაცია, კანდიდატის პროფესიული გამოცდილება, სამეცნიერო კვლევისთვის აუცილებელი უნარ ჩვევები თუ საკუთარი ხედვა გამოცხადებული საკვლევი თემატიკის შესახებ?)

4. სილაბუსის „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ არ შეესაბამება შინაარს, კურსის სათაური მოვიდეს შესაბამისობაში შინაარსთან, მიზანთან და სწავლის შედეგებთან, უნდა დაზუსტდეს სალექციოთ თემები და წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურა. ამ კურსის სალექციო მე-8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 თემები და საემინარო თემები ფარავს სასწავლო კურსის „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“ მე- 7 , 8. 9 10,11 სალექციო თემებს.
5. სილაბუსში „ ტყის ეკოსისტემები და მათი დაცვა“ შეფასების მეთოდები და შეფასების კრიტერიმები უნდა მოვიდეს შესაბამისობაში, წარმოდგენილ სილაბუსში მიმდინარე აქტივობის შეფასება 30 ქულიანია და ხდება: ა)პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალების შესრულებისა და ბ) თემატური პროექტის წარდგენის საფუძველზე თითოეული პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით და თემატური პროექტი ფასდება მაქსიმუმ 15 ქულით. შეფასების კრიტერიუმად კი გაწერილია მხოლოდ 3 -3 ქულიანი ტესტები;
6. პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან , წარმოდგენილ დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასების მექნიზემები“ სწავლის შედეგების რალიზაციის სფეროებში გაწერილია მხოლოდ სასწავლო კომპონენტები (სასწავლო კურსები) და არ ჩანს კვლევითი კომპონენტებით და სემინარებით რა სწავლის შედეგებზე გადის დოქტორანტი;
7. „სწავლის შედეგების შეფასების მექნიზემები“ დოკუმენტში, დანართი 3-ში (გვ,4, პუნქტი 2.4.8.) წერია, რომ დოქტორანტის თითოეული თემატური სემინარი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, შუალედური (30 ქულა) და დასკვნითი (70ქულა) , ხოლო დანართ 4-ში გვ,14 თემატური სემინარის შუალედური და დასკვნითი შეფასებების კრიტერიუმების მაქსიმალური ჯამური ქულაა 20-20, რაც წინააღმდეგობაში მოდის ასევე აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებასთან „3“ 2. სადაც წერია , რომ შაულედური შეფასებების მაქსიმალური ქულაა 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის 40 ქულა.
8. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა უნდა გადახედოს სასწავლო კურსების შეფასების ფორმებს, მეთოდებს და კრიტერიუმებს, დაუტოვოს აკადემიური თავისუფლება პედაგოგებს და სტანდარტი 2-ის , 2. 6 შესაბამისად თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები უნდა ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას და არა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ერთნაირი შეფასების სისტემას;
9. დოქოტორანტებმა კვლევითი კომპონენტის შესრულება უნდა დაიწყონ პირველივე სემესტრიდან, პროგრამის აღწერაში სასწავლო კომპონენტებისთვის განსაზღვრულია 60 კრედიტი, პირველ სემესტრში გათვალისწინებულია 4 სასწავლო ძირითადი სასწავლო კურსი 20კრედიტი და თემატური სემინარი 1-ის მომზადება 10 კრედიტი, მეორე სემესტრში გათვალისწინებულია 2 ძირითადი სასწავლო კურსი 15 კრედიტი და თემატური სემინარი 2-ის მომზადება 15 კრედიტი. დოქტორანტი წარმოდგენილი გეგმის მიხედვით კვლევითი კომპონენტის შესრულებას 30 კრედიტი და შესაბამისად ამ კომპონენტის შეაფსება გათვალისწეინებულია მე-3 სემესტრიდან, მეხუთე და მეექვსე სემესტრი კი ეთმობა სადისერტაციო ნაშრომის მოზადებას და დაცვას 60 კრედიტი , დარგის კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე და კვლევისათვის მონაცემების აღების სეზონურობიდან გამომდინარე 4 სემესტრში რთულია კვლევების დასრულება და დისერტაციის წარდგენა დასაცავად.

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში სასურველია ჩაემატოს ‘’ეკოლოგიის, გეოგრაფიის მაგისტრი’’ რადგან ეკოლოგია და გეოგრაფია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მიეკუთვნება და უფრო ახლოს არის თემატურად სატყეო საქმესთან ვიდრე ფიზიკა და ქიმია.
2. სასურველია **სასწავლო კურსები** „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“ გაერთიანდეს და გამონთავისუფლებული

კრედიტების ხარჯზე გაიზარდოს კვლევის კომპონენტი;სასურველია სილაბუსებში წარმოდგენილი იქნას სალექციო თენების მიხედვით კვირეული დატვირთვის საათები, რადგან

3. სილაბუსების კვირეულ დატვირთვაში 15 თემაში არ ჩანს რომელ თემას რამდენი საათი ეთმობა;სასწავლო კურსების სილაბუსებში : „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“, „სამეცნიერო კვლევის მეთოდები სატყეო საქმეში“, სატყეო რესურსების ეფექტური გამოყენება სატყეო ეკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით,“ „ ტყის ეკოსისტემები და მათი დაცვა“, „ტყეთმცოდნეობის გავრცობილი კურსი“, გაიწეროს მხოლოდ ის სწავლის მეთოდები, რომელიც გამოიყენება სწავლების პროცესში ;
4. სილაბუსებში კვირეულ დატვირთვაში წარმოდგენილი სალექციო თემების მიხედვით უნდა მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურა;
5. სასურველია გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია უცხოელ კოლეგებთან სამეცნიერო თანამშრომლობით რაც გამოიხატება დოქტორანტების უცხოელი მეცნიერების თანახელმძღვანელობასა და ერთობლივი სამეცნიერო სტატიებით;
6. სასურველია დოქტორანტებმა დისერტაციის დაცვამდე გამოაქვეყნონ მათ საკვლევ თემასთან დაკავშირებული ერთი სტატია მაინც საერთაშორისო იმპაქტ ფაქტორის მქონე გამოცემებში;
7. არ იყო წარმოდგენილი ამ პროგრამის განხორციელებისთვის არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ დოკუმენტაცია, წარმოდგენილი დოკიმენი შეეხებოდა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და არ არის რელევანტური „სატყეო საქმის„ არც სადოქტორ და არც სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისთვის( მაგ. ცხვრის საკრეჭი, რძის სეპარატორი, რძის ანალიზის ცენტრიფუგა და ა. შ.)
8. სწავლის შედეგების რუქაში დაზუსტდეს სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსებთან;
9. პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი) უნდა გაიმიჯნოს და ცალ-ცალკე გაიწეროს თუ რა ზოგად და დარგობრივ სწავლის შედეგებზე გადის სტუდენტი;
10. წარმოდგენილ დოკუმენტში დოქტორანტურის დებულება, დანართი 3 „დოქოტრანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის და მათი შეფასების წესი“ საჭიროა მკაფიოდ გაიწეროს დოქტორანტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები; პროგრამაში და თანდართულ დოკუმენტებში აღინიშნება მრავლობითი ტექნიკური შეცდომები , სასურველია გადაიხედოს ეს დოკუმენტები და ჩასწორდეს შეცდომები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

არ არის

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ არის

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის მიზანია მომზადდეს სპეციალისტი, რომელსაც ექნება ტყის ეკოსისტემების გენეზისის, განვითარების თავისებურებების, მათზე მოქმედი კლიმატური ედაფიური, ოროგრაფიული, ანთროპოგენური და სხვა ბიოტური ფაქტორების ცოდნა და შეეძლება მისი ანალიზი, რაც მომავალ სპეციალისტს საშუალებას მისცემს რაციონალურად და ეფექტურად გამოიყენოს და მართოს სატყეო დარგი, შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად. სატყეო საქმის სპეციალისტს ჩამოუყალიბოს უნარი მაღალ დონეზე დაეუფლოს სატყეო მეურნეობის მართვისა და საქართველოს ტყეებში ეფექტური სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვისა და მომავალში რეალიზების თეორიულ საფუძვლებს, რაც მას საშუალებას მისცემს წარმატებით გადაწყვიტოს საერთაშორისო დონის აქტუალური და მოდერნიზებული პრობლემური საკითხები, ამასთანავე ითვალისწინებს მათზე ორიენტირებული, უახლესი დონის მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მქონე ისეთი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც დამოუკიდებლად შეძლებს – ინოვაციური კვლევის დაგეგმვა–განხორციელებას ახლებური მეცნიერული მიდგომებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია http://gtu.ge/AboutStu/Mission.php ;
აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება;
დამსაქმებლების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა;
აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა.

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br>**არ არის** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>**არ არის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>**არ არის** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის |

მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე" ფარგლებში სატყეო საქმის დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს 180 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა, მათი ქრონოლოგიური წყობა, შინაარსი და ლოგიკური თანმიმდევრობა უზრუნველყოს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღწერის სათანადო დონით. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობასაა პროგრამის მიზანთან, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერთან და ძირითდად უზრუნველყოფს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას და წარმოდგენილია შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე";
სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა https://leqtori.gtu.ge/2017_2018/I/B/info;
სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №2691 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია";
დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;
შრომის ბაზრის მოთხოვნების არსებული კვლევების ანალიზი.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან , წარმოდგენილ დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმები" სწავლის შედეგების რალიზაციის სფეროებში გაწერილია მხოლოდ სასწავლო კომპონენტები (სასწავლო კურსები) და არ ჩანს კვლევითი კომპონენტებით და სემინარებით რა სწავლის შედეგებზე გადის დოქტორანტი;

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**არ არის**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი) უნდა გაიმიჯნოს და ცალ-ცალკე გაიწეროს თუ რა ზოგად და დარგობრივ სწავლის შედეგებზე გადის სტუდენტი;
- სწავლის შედეგების რუქაში დაზუსტდეს სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსებთან;

| |
|---|
| |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის<br>**არ არის** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>**არ არის** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<table>
<tr><td>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</td></tr>
<tr><td>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</td></tr>
<tr><td>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>სტუ-ში ჩარიცხვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალე იქნება და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა იქნება უზრუნველყოფილი. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება როგორც სტუდენტებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებულ პირთათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ღია კარის დღეების საშუალებით, საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაციებით.</td></tr>
<tr><td>მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“;<br>„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნ ბრძანება;<br>სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №2691 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“;<br>სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება „სტუ–სსტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია</td></tr>
<tr><td>რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>• პროგრამაში მკაფიოდ გაიწეროს მიღების წინაპირობები, განმარტებული იქნას ჩანაწერი „ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი“.<br>10. პროგრამაში მკაფიოდ გაიწეროს რომელი დონის უცხო ენის ცოდნა მოეთხოვებათ და რა ტიპის გამოცდას აბარებენ უცხო ენაში; დაკონკრეტებული უნდა იყოს უცხო ენის რომელი</td></tr>
</table>

საერთაშორისო სერტიფიკატის (მაგ TOEFL, IELTS, FCE, CAE...) არსებობის შემთხვევაში თავისუფლდება კანდიდატი გამოცდის ჩაბარებისგან.

- პროგრამაში ან სადოქტორო დებულებაში მკაფიოდ გაიწეროს საფაკულტეტო დროებით კომისიასთან გასაუბრების ფორმატი და ჩარიცხვისთვის რა მიიღება მხედველობაში (მაგ კანდიდატის კვალიფიკაცია, კანდიდატის პროფესიული გამოცდილება, სამეცნიერო კვლევისთვის აუცილებელი უნარ ჩვევები თუ საკუთარი ხედვა გამოცხადებული საკვლევი თემატიკის შესახებ?)

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**არ არის**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**არ არის**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს

| |
|---|
| პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონსტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 3 წელი (6 სემესტრი) და მოიცავს 180 კრედიტს (ECTS). სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი და კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. სტუ-ს რექტორის მიერ სემესტრის დაწყებამდე გამოიცემა და ვებგვერზე ქვეყნდება აკადემიური კალენდარი. სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი (ექვსი სემესტრი). პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. სასწავლო კომპონენტი მოცავს დოქტორანტისათვის განკუთვნილ 6 სასწავლო კურსსა და 2 თემატურ სემინარს, ხოლო კვლევითი კომპონენტი მოიცავს – 2 კოლოკვიუმსა და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვას. სასწავლო კომპონენტისათვის განსაზღვრული 60 კრედიტი – 35 კრედიტი სასწავლო კურსები, 25 კრედიტი – 2 თემატური სემინარი, ხოლო კვლევითი კომპონენტისთვის - 120 კრედიტი, კოლოკვიუმი 1 და კოლოკვიუმი 2 – 60 კრედიტი, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 60 კრედიტი.<br>სილაბუსები „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“ საკმაოდ დიდ ნაწილში ერთმანეთის გამეორებაა. მაგ. მე-8. 9 10, 11 , 12 , 13 , 15 და მე-9, 10, 11 სალექციო თემები პრაქტიკულად ერთი და იგივეა.<br>სასწავლო ლიტერატურაში, ხშირადაა მითითებული ინტერნეტ ლინკები, და არ ჩანს წყარო რაზეა საუბარი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“;<br>სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);<br>სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვალი №407 დადგენილებით<br>დამტკიცებული „სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“.<br>საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“<br>2018 წ. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• დოქოტორანტებმა კვლევითი კომპონენტის შესრულება უნდა დაიწყონ პირველივე სემესტრიდან, პროგრამის აღწერაში სასწავლო კომპონენტებისთვის განსაზღვრულია 60 კრედიტი, პირველ სემესტრში გათვალისწინებულია 4 სასწავლო ძირითადი სასწავლო კურსი 20კრედიტი და თემატური სემინარი 1-ის მომზადება 10 კრედიტი, მეორე სემესტრში გათვალისწინებულია 2 ძირითადი სასწავლო კურსი 15 კრედიტი და თემატური სემინარი 2-ის მომზადება 15 კრედიტი . დოქტორანტი წარმოდგენილი გეგმის მიხედვით კვლევითი კომპონენტის შესრულებას 30 კრედიტი და შესაბამისად ამ კომპონენტის შეაფსება |

გათვალისწეინებულია მე-3 სემესტრიდან, მეხუთე და მეექვსე სემესტრი კი ეთმობა სადისერტაციო ნაშრომის მოზადებას და დაცვას 60 კრედიტი , დარგის კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე და კვლევისათვის მონაცემების აღების სეზონურობიდან გამომდინარე 4 სემესტრში რთულია კვლევების დასრულება და დისერტაციის წარდგენა დასაცავად;

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**არ არის**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

არ არის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- არ არის

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში მოცემული ინფორმაციით. სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება დოქტორანტურის აღმწერის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა- სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა ,, სატყეო საქმე“;<br>სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);<br>ბიბლიოთეკის კატალოგი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>სილაბუსის „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ არ შეესაბამება შინაარს, , კურსის სათაური მოვიდეს შესაბამისობაში შინაარსთან, მიზანთან და სწავლის შედეგებთან, უნდა დაზუსტდეს სალექციოთ თემები და წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურა. ამ კურსის სალექციო მე-8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 თემები და საემინარო თემები ფარავს სასწავლო კურსის „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“ მე- 7 , 8. 9 10,11 სალექციო თემებს. სილაბუსებში თემატიკის დუბლირება მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს.<br><br>• სილაბუსში „ ტყის ეკოსისტემები და მათი დაცვა“ შეფასების მეთოდები და შეფასების კრიტერიმები უნდა მოვიდეს შესაბამისობაში, წარმოდგენილ სილაბუსში მიმდინარე აქტივობის შეფასება 30 ქულიანია და ხდება: ა)პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალების შესრულებისა და ბ) თემატური პროექტის წარდგენის საფუძველზე თითოეული პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით და თემატური პროექტი ფასდება მაქსიმუმ 15 ქულით. შეფასების კრიტერიუმად ამ აქტივობების შესაფასებლად გაწერილია მხოლოდ 3 ქულიანი ტესტები;<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |

- სასურველია **სასწავლო კურსები** „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“ გაერთიანდეს და გამონთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე გაიზარდოს კვლევის კომპონენტი;
- სასურველია სილაბუსებში წარმოდგენილი იქნას სალექციო თენების მიხედვით კვირეული დატვირთვის საათები, რადგან სილაბუსის 15 თემაში არ ჩანს რომელ თემას რამდენი საათი ეთმობა;
- სილაბუსებში კვირეულ დატვირთვაში წარმოდგენილი სალექციო თემების მიხედვით უნდა მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურა;

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

არ არის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ არის

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სტუდენტი მიიღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სტუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან და დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისგან. უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს უზრუნველყოფს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს. შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ (ადმინისტრაციული საკითხები, სოციალური დახმარება, დასვენების სერვისები და სხვა). ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ფაკულტეტზე ტარდება დარგობრივი სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტებიც. დაწესებულება აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში, სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ არის

-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის "სატყეო საქმე" სასწავლო კურსები მიმდინარეობს ლოგიკური თანმიმდევრობით და ატარებს კომპლექსურ ხასიათს. სწავლებისას გამოიყენება მეთოდების მთელი კომპლექსი:
დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ლაბორატორიული, პრაქტიკული მუშაობა, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია; თუმცა სასწავლო კურსების მიხედვით არ ჩანს რომლ მეთოდებს იყენებენ,
ზოგიერთ შემთხვევაში სილაბუსში გაწერილია 45-75 სალექციო საათი და თემატიკის მიხედვით არ ჩანს, რომელ თემას რამდენი საათი ეთმობა. ასევე სილაბუსები და სწავლი შედეგების რუკა არაა შესაბამისობაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

| |
|---|
| ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“;<br>სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);<br>სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები<br>http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>სასწავლო კურსების სილაბუსებში : „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“, „სამეცნიერო კვლევის მეთოდები სატყეო საქმეში“, სატყეო რესურსების ეფექტური გამოყენება სატყეო ეკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით,“ „ ტყის ეკოსისტემები და მათი დაცვა“, „ტყეთმცოდნეობის გავრცობილი კურსი“, გაიწეროს მხოლოდ ის სწავლის მეთოდები, რომელიც გამოიყენება სწავლების პროცესში |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის<br>არ არის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>არ არის |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.6. სტუდენტების შეფასება

| |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |

○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.
სასწავლო კომპონენტის შეფასება:
დადებითი შეფასებებია:
 (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
 (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
 (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
 (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
 (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.
უარყოფითი შეფასებებია:
 (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ
აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს
აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიცვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
